



1451-15-10-2-202102110503



N 15-10/1451

11/02/2021

თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს
ბატონ მიხეილ ჩინჩალაძეს

სასამართლოს მეგობრის (Amicus curiae) მოსაზრება

ბატონო მიხეილ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს მოქალაქე [REDACTED]
[REDACTED] საქმეს. მოცემულ ეტაპზე საქმეს მისი საჩივრის საფუძველზე განიხილავს თბილისის
სააპელაციო სასამართლო.

საქმის მასალების შესწავლისა და პირველ ინსტანციაში საქმის განხილვის სხდომების
მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ შინაპატიმრობის აღსრულების პერიოდში თბილისის
საქალაქო სასამართლოს მიერ [REDACTED] დამატებითი პასუხისმგებლობის დაკისრება
შესაძლოა არღვევდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კანონიერი ნდობის ინსტიტუტს და
მნიშვნელოვნად აურესებდეს როგორც [REDACTED] ისე - პრობაციის ბიუროს აღრიცხვაზე
მყოფი სხვა მსჯავრდებულების სამართლებრივ მდგომარეობას.

შესაბამისად, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური მანდატის გათვალისწინებით,
მიზანშეწონილად ჩავთვალე, მომემართა სასამართლო მეგობრის მოსაზრებით.

სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართვის უფლებამოსილება

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების
დაცვას ზედამხედველობის საქართველოს სახალხო დამცველი“.¹

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, „საქართველოს
სახალხო დამცველი უფლებამოსილია, [...] ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს
მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტუტიციო
სასამართლოში“.²

¹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 35, პუნქ. 1.

² „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 21, ქვეპ. „ე“.

ვსარგებლობ რა, მითითებული ნორმებით მონიჭებული უფლებამოსილებით, წარმოგიდგენთ ჩემს წერილობით მოსაზრებას აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით. მოსაზრება მიზნად არ ისახავს საქმის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერას.

ფაქტობრივი გარემოებები

2013 წლის 25 დეკემბრის განაჩენით [REDACTED] ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 09 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭოს 2019 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებით [REDACTED] დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალა შინაპატიმრობით - 02 წელი და 11 თვისა და 1 დღის ვადით და დაეკისრა საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულება 21:00 საათიდან 08:00 საათის ჩათვლით.

„არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდეგ, მსჯავრდებული [REDACTED] გაეცნო უფლება-მოვალეობებს და 2019 წლის 15 ოქტომბერს მის საცხოვრებელ მისამართზე დამონტაჟდა ელექტრონული სამაჯურის აპარატი.³ მსჯავრდებულის მონიტორინგს ახორციელებდა სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს თბილისის პრობაციის ბიურო.

2020 წლის 26 ოქტომბერს თბილისის პრობაციის ბიურომ N2/05/77009 წარდგინებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა [REDACTED] მიმართ დანიშნული შინაპატიმრობის გაუქმება და თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის აღსრულება. წარდგინების მიხედვით, მსჯავრდებულმა არ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა, კერძოდ, 2020 წლის 13 ოქტომბერს 23:36 საათზე დატოვა საცხოვრებელი ადგილი და დაბრუნდა 2020 წლის 14 ოქტომბერს 04:26 საათზე, ხოლო 2020 წლის 17 ოქტომბრის 22:16 საათიდან 18 ოქტომბრის 10:50 საათამდე ასევე არ იმყოფებოდა საცხოვრებელ მისამართზე.

მსჯავრდებულმა [REDACTED] განმარტა, რომ იგი სასჯელს იხდიდა პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც შეძლო განევითარებინა საკუთარი მუსიკალური უნარები, გამოსცა ალბომი, რამდენიმე პროექტის ფარგლებში შექმნა მუსიკა. დაწესებულების დატოვების შემდეგ, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, დამის საათებში უწევდა საცხოვრებლის დატოვება, რაც ამჟამად მისი შემოსავლის ერთადერთი წყაროა. მსჯავრდებულის განცხადების საფუძველზე, [REDACTED] და პრობაციის ბიუროს შორის მისი რეინტეგრაციისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგრადირების გაუმჯობესების მიზნით, ზეპირი შეთანხმება შედგა. შეთანხმების მიხედვით, მას უფლება ჰქონდა საცხოვრებელ ადგილზე ყოფნის ვალდებულება დაერღვია მისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე.

³ „შინაპატიმრობის აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის მინისტრის N146 ბრძანება, მუხ. 3, პუნქ. 2; მუხ. 6.

მსჯავრდებულის ცნობით, შეთანხმება მსჯავრდებულს აძლევდა ზოგად ნებართვას, ღამის საათებში სამუშაოს შემოთავაზების შესახებ ეცნობებინა პრობაციის ოფიციალურის, ასევე ეცნობებინა ელექტრონული ზედამხედველობის მართვის ცენტრში ზედამხედველი მორიგე თანამშრომლისთვის, რომ საცხოვრებელ სახლს ტოვებდა. ამასთან, მსჯავრდებული ვალდებული იყო, სამუშაოს შესრულებიდან 2-3 დღის ფარგლებში პრობაციის ბიუროში წარედგინა სამსახურში მისი ყოფნის დამადასტურებელ დოკუმენტაცია (დამსაქმებლისგან ცნობა, მომსახურების ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი).

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული შეთანხმება წერილობით არ იყო გაფორმებული, მსჯავრდებული უთითებს, რომ მსგავსი პირობით არაერთხელ უსარგებლია. მართლაც, შეთანხმების შემდეგ, არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც მის საქმიანობასთან დაკავშირებით [REDACTED] ისარგებლა ამ შედავათით. ამასთან, არც ერთ შემთხვევაში დარღვევას ან არასაპატიოდ ჩათვლას ადგილი არ ჰქონია.⁴

საწყის ორ შემთხვევაში, სანამ ეს ზეპირი შეთანხმება დაიდებოდა, პრობაციის ბიურომ ნებართვა არ გასცა და მსჯავრდებულიც გადაწყვეტილებას დაემორჩილა.⁵ 2019 წლის დეკემბრის შემდგომ კი მსჯავრდებული ამ შეთანხმებით სრულად სარგებლობდა, რაც კონტროლდებოდა მის ფეხზე დამაგრებული ელექტრონული სამაჯურით.

ამრიგად, მსჯავრდებული უკავშირდებოდა პრობაციის ოფიცერს, რომელსაც ატყობინებდა საცხოვრებლის დატოვების თაობაზე, სამუშაოს შემდეგ კი ბიუროს წარუდგენდა სამუშაოს შესრულების შესაბამის დოკუმენტაციას. აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულის ქცევის გადამოწმების მიზნით, იყო შემთხვევა, როცა გამოყენებულ იქნა მსჯავრდებულის სამუშაო ადგილზე პრობაციის ოფიცრის ვიზიტიც.

სწორედ აღნიშნული ნაბიჯები გადადგა მსჯავრდებულმა 2019 წლის დეკემბრის შემდგომ ყველა შემთხვევაში. დაფიქსირებული რეჟიმის დარღვევა ყოველ ჯერზე საპატიოდ ითვლებოდა, ფორმალური დარღვევიდან რამდენიმე დღის შემდეგ გამოცემული აქტის საფუძველზე. მსჯავრდებულის ცნობით, რასაც პრობაციის ბიუროს პოზიცია, ან საქმეში არსებული რაიმე მტკიცებულება არ ეწინააღმდეგება, ანალოგიურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი 2020 წლის 13-14 და 17-18 ოქტომბრის შემთხვევებში - მსჯავრდებულმა ორივე შემთხვევაში გააფრთხილა ოფიცერი, რომ საცხოვრებელ ადგილ ადგილს შეთანხმების შესაბამისად ტოვებდა, შემდეგ დღეს კი წარმოადგინა სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

2020 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა პრობაციის ეროვნული ბიუროს წარდგინება და 17 ოქტომბრის ეპიზოდის გამო [REDACTED] გაუზარდა საცხოვრებელ ადგილს ყოფნის ვალდებულება 19:00 საათიდან დილის 08:00 საათის ჩათვლით. პირველი ეპიზოდის შემთხვევაში, სასამართლომ მიუთითა, რომ

⁴ თბილისის პრობაციის ბიუროს უფროსის N937 (30.12.2019), N45 (10.01.2020), N274 (05.02.2020), N-61 (12.02.2020 – 2 ეპიზოდი), N-70 (09.03.2020), N700 (23.03.2020), N1371 (20.07.2020 – 2 ეპიზოდი), N1464 (27.07.2020 – 2 ეპიზოდი), N1561 (31.07.2020 – 3 ეპიზოდი), N1676 (10.08.2020 – 3 ეპიზოდი), N1760 (14.08.2020 – 3 ეპიზოდი), N1897 (27.08.2020 – 3 ეპიზოდი), N2/05/62952 (04.09.2020 – 2 ეპიზოდი), N2/05/63526 (08.09.2020 – 4 ეპიზოდი), N2/05/64832 (14.09.2020 – 4 ეპიზოდი), N2372 (15.10.2020 – 4 ეპიზოდი) გადაწყვეტილები.

⁵ 2019 წლის 25 ოქტომბრის N2/05/98807 და 2019 წლის 31 ოქტომბრის N2/05/100531 თბილისის პრობაციის ბიუროს

16 ოქტომბერს უკვე შედგენილი იყო მოხსენებითი ბარათი, რომლითაც პრობაციის ბიუროს უფროსი ითხოვდა [REDACTED] მიერ რეჟიმის დარღვევის საპატიოდ ჩათვლას. რავი მსგავსი შინაარსის მოხსენებითი ბარათი 17 ოქტომბრის ეპიზოდთან დაკავშირებით ვერ მოიძებნა, სასამართლომ [REDACTED] რეჟიმის დამრღვევად სცნო.

სამართლებრივი შეფასება

ევროპის საბჭოს რეკომენდაციის თანახმად, პრობაციონერთა და პირობით ვადაზე ადრე განთავისუფლებულთა ან/და ალტერნატიული სასჯელით შეცვლის შემთხვევაში, მსჯავრდებულ პირთა საზოგადოებაში უმტკივნეულო დაბრუნების ხელშეწყობა პრობაციის მთავარი მიზანია. თითოეული შეზღუდვა, რომელიც წესდება საზოგადოებრივი უსაფრთხოების გათვალისწინებით, შეწონილი უნდა იყოს პირის საშიშროების რისკთან და მიზნად ისახავდეს რეაბილიტაციასა და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის შემცირებას. მათ შორის მოიაზრება სოციალური და სამსახურებრივი რეინტეგრაციის ხელშეწყობა.⁶

აღნიშნული მიზნების მისაღწევად სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოები პროაქტიულად უნდა უწყობდეს ხელს შესაბამისი სახსრებისა და რესურსების მომიებას და თავად სთავაზობდეს სხვადასხვა ტიპის ფსიქო-სარეაბილიტაციო მომსახურებასა თუ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშემწყობ ღონისძიებებს.

ინდივიდუალიზაციის პრინციპი პრობაციის სამსახურს, ერთი მხრივ, შესაძლებლობას აძლევს დაგეგმოს მსჯავრდებულის საჭიროებებზე მორგებული ინტერვენციები და მეორე მხრივ, გამოიყენოს კანონით მინიჭებული უფლებების ფარგლებში ფართო დისკრეცია და თავად განსაზღვროს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და საზოგადოების უსაფრთხოების შესაძლო რისკების გათვალისწინებით ელექტრონული მონიტორინგის გამოყენებისას ტექნიკური ზედამხედველობის გამართლებული დონე.

შინაპატიმრობა წარმოადგენს რეალური სასჯელის ალტერნატიულ ფორმას, რომელიც შესაძლოა მსჯავრდებულს, შეეთავაზოს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის კანონით დადგენილი დროის გასვლის შემდეგ, როგორც სასჯელის აღსრულების ერთ-ერთი ფორმა. პირის ინდივიდუალური შეფასების შედეგად სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებით პირს პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელი სასჯელი შეიძლება შეცვლოს შინაპატიმრობით. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს გარკვეული რეჟიმის დაწესებას - დღე-ღამის განმავლობაში გარკვეული საათების საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულებას⁷, რომლის მონიტორინგიც სპეციალური ელექტრონული მოწყობილობის მეშვეობით ხორციელდება.

კანონი განსაზღვრავს წინაპირობებს, როდესაც განსაზღვრული რეჟიმის დარღვევა საპატიოდ შესაძლოა ჩაითვალოს, მათ შორისაა - „მსჯავრდებულის სამსახურებრივ ან პროფესიულ, ანდა

⁶ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)1 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2010 წლის 20 იანვრის მინისტრთა მოადგილების 1075-ე სხდომაზე).

⁷ „შინაპატიმრობის აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N145 ბრძანება, მუხ. 4, პუნქ. 1.

სპორტულ, კულტურულ ან საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობასთან დაკავშირებული მივლინება, რასაც ადასტურებს შესაბამისი დოკუმენტი⁸.⁸ კანონი შემოიფარგლება ზოგადი ჩანაწერით და ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს დისკრეციულ უფლებამოსილებას, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ჩაუთვალოს თუ არა დარღვევა საპატიოდ.⁹

ადმინისტრაციული ორგანო მოცემულ შემთხვევაში ისედაც ფართო დისკრეციული უფლებამოსილებით სარგებლობს, თუმცა ეს არ ნიშნავს უფლებაში ჩარევის ფარგლების ანგარიშვალდებულების გარეშე გადაწყვეტას. ადმინისტრაციულ ორგანოს ეძლევა გადაწყვეტილების მიღების კომპეტენცია, „განახორციელოს თუ არა კანონით ცალსახად მოწესრიგებული ჩარევა და საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისად შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება“.¹⁰

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება ხდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მეშვეობით, რომელიც შეიძლება გამოიცეს ზეპირად ან წერილობით.¹¹ ზეპირი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წერილობით გამოცემა სავალდებულოა მხოლოდ მაშინ, როდესაც ხდება უფლების შემზღვდველი, და არა აღმჭურველი აქტის გამოცემა.¹²

ამრიგად, [REDACTED] მიმართ, 2019 წლის დეკემბრის შემდგომ, სამუშაოს შესრულების მიზნით საცხოვრებელი სახლის დატოვების შესახებ ნებართვის გაცემით და ზემოხსენებული შეთანხმებით, პრობაციის ბიურომ გასცა ზოგადი ნებართვა. როგორც წინა შემთხვევებში, ისე - 14 დეკემბრის და 17 დეკემბრის შემთხვევაში, პრობაციის ოფიციალური მიერ, ზეპირი ფორმით გამოიცემოდა აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც [REDACTED] აძლევდა მისთვის განსაზღვრული რეჟიმის ცვლილების უფლებას შესაბამისი სამუშაოს შესრულების პერიოდით.

აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შედეგად, [REDACTED] გაუჩნდა კანონიერი ნდობა¹³ ადმინისტრაციული ორგანოს (პრობაციის ბიუროს) მიმართ, რომ მისი რეჟიმის დარღვევა საპატიოდ ჩაითვლებოდა.

წინამდებარე საქმის ანალიზი

როგორც საქმეში წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, მსჯავრის შეცვლის შემდგომ, [REDACTED] საქმეში არ ირიცხება არც ერთი დაგვიანება, გაფრთხილება ან რეჟიმის არასაპატიო დარღვევა, ფაქტობრივი გარემოებებით დასტურდება, რომ ზოგადი შეთანხმების საფუძველზე, სამუშაოზე გასვლამდე მსჯავრდებული უკავშირდებოდა პრობაციის ოფიცერს, რომელსაც

⁸ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 121¹, პუნქ. 1, ქვეპ. „გ“.

⁹ „მონაბეჭიმრობის აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N145 ბრძანება, მუხ. 4, პუნქ. 2 და პუნქ. 4.

¹⁰ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 2, პუნქ. 1, ქვეპ. „ლ“.

¹¹ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 51, პუნქ. 1.

¹² საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 51, პუნქ. 2.

¹³ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 9.

ატყობინებდა საცხოვრებლის დატოვების შესახებ, მუშაობის დასრულების შემდეგ კი ბიუროს წარუდგენდა სამუშაოს შესრულების შესაბამის დოკუმენტაციას.

2020 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებაში სასამართლომ მიუთითა, რომ 14 დეკემბრის ეპიზოდთან მიმართებით [REDACTED] ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ჰქონდა კანონიერი ნდობა, თუმცა სასამართლომ არასწორად შეაფასა კანონიერი ნდობის წარმოშობის საფუძველი. სასამართლომ ნდობის წარმოშობის საფუძვლად მიუთითა ბიუროს უფროსის მოხსენებითი ბარათი, თუმცა საგულისხმოა, რომ ბარათი შედგენილი იყო 16 დეკემბერს, მსჯავრდებულის მიერ შინაპატიმრობით დადგენილი წესის დარღვევიდან 2 დღის შემდეგ.

[REDACTED] კანონიერი ნდობა ვერ წარმოეშობოდა მოქმედების განხორციელებამდე - საცხოვრებელი სახლის დატოვებამდე - 2 დღის შემდგომ გამოცემული აქტის საფუძველზე. ადმინისტრაციული ორგანოსადმი მისი კანონიერი ნდობის წარმოშობა ეყრდნობოდა პრობაციის სააგენტოს ზეპირი ფორმით გაცემულ უფლებააღმჭურველ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც მას ნებართვას აძლევდა, დაეტოვებინა საცხოვრებელი სახლი.

კანონიერი ნდობის გაუქმების საფუძველი იქნებოდა მსჯავრდებულის მიერ საკუთარი მოვალეობების დარღვევა.¹⁴ თუმცა, მსჯავრდებულმა ორივე შემთხვევაში შეასრულა მისთვის დაკისრებული ვალდებულებები - ჯერ შეატყობინა ოფიცერს საცხოვრებელი ადგილის დატოვების შესახებ, შემდეგ კი პრობაციის ბიუროში 2 დღის ვადაში წარადგინა დოკუმენტაცია - დამსაქმებლისგან გაცემული ცნობა ზუსტი დროისა და ლოკაციის მითითებით, მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი და დამსაქმებელთან გაფორმებული ხელშეკრულება.

ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, თუკი მსჯავრდებულის მხრიდან დაცულია კანონითა და ზეპირი შეთანხმებით გათვალისწინებული წინაპირობები და ფორმალური მხარე, კანონიერი ნდობის პრინციპის გათვალისწინებით, [REDACTED] არ უნდა დაეკისროს რაიმე ტიპის სანქცია და მის მიერ პრობაციის სააგენტოსთან დადებული შეთანხმების საფუძველზე განხორციელებული ქმედებები უნდა ჩაითვალოს კანონშესაბამისად.

სხვაგვარად განმარტების შემთხვევაში, მივიღებთ სიტუაციას, როცა ვერცერთი მსჯავრდებული ვერ შეძლებს პრობაციის ბიუროს მიერ ზეპირი ფორმით გაცემული ნებართვის საფუძველზე მისთვის აუცილებელი მოქმედების შესრულებას, რადგან კანონიერი ნდობის წარმოშობის საფუძვლად აღებული იქნება არა აღნიშნული ნებართვა, არამედ წერილობითი მოხსენებითი ბარათი, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ შეიძლება არც გამოიცეს.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, [REDACTED] კანონიერი ნდობა წარმოეშვა პრობაციის ბიუროს მიერ ზეპირი ფორმით გაცემული ნებართვის საფუძველზე. მსჯავრდებულის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მიუთითებს, რომ ურთიერთობის მსგავსი ფორმა რეგულირდებოდა სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მის მიერ რეჟიმის საპატიო

¹⁴ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 9, პუნქ. 2, ქვეპ. „გ“.

მიზეზით დარღვევის სხვა შემთხვევებიც. შესაბამისად, ზეპირი, აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე წარმოშობილი კანონიერი ნდობა გამორიცხავს [REDACTED] პასუხისმგებლობას ორივე ეპიზოდთან დაკავშირებით.

მიმაჩნია, რომ სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს პირის უფლებაზე, ერთი მხრივ, დაცული იყოს ადმინისტრაციული ორგანოს თვითნებობისგან და მეორე მხრივ, არ ჩაიყენოს თავი არასტაბილურ მდგომარეობაში და არ განახორციელოს ისეთი ქცევა, რომელიც შესაძლოა საფუძვლად დაედოს მისი სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესებას, თუკი აღნიშნული ქცევის განხორციელების შესახებ გაცემულია თანხმობა. მსგავსი განმარტება მნიშვნელოვნად დააზიანებდა პრობაციის ბიუროს აღრიცხვაზე მყოფ ყველა მსჯავრდებულს,

ვიმედოვნებ, რომ წინამდებარე მოსაზრება დაეხმარება სასამართლოს განსახილველი საკითხის სათანადოდ შეფასებაში და შესაძლებელი გახდება იმ სამართლებრივი ხარვეზის პრაქტიკულ დონეზე გამოსწორება, რომელიც საფრთხეს უქმნის პიროვნების მდგომარეობის სტაბილურობას და მის მიმართ კანონის ერთგვაროვან გამოყენებას.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ვიხელმძღვანელე „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით და აქვე, გამოვთქვამ მზადყოფნას საქმის არსებით განხილვაზე ზეპირი განმარტების მისაცემად.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

5-


სახალხო დამცველი